

აუქციონის წესები

1. ძირითადი პირობები

1.1. განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს სიმძლავრის აუქციონის გამოცხადებისა და დაინტერესებული პირების მიერ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სიმძლავრის აუქციონში მონაწილეობის წესებსა და პირობებს და ავსებს მ.განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის და მსიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილებას (შემდგომში - დადგენილება).

1.2. წესის შესაბამისად განისაზღვრება სავალდებულოდ შესასრულებელი ვალდებულებები, რაც წარმოშობათ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებული პროექტის განმახორციელებელ დაინტერესებულ პირებს.

1.3. წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ დადგენილებით, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს მკანონით, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მ.„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მმნიშვნელობები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რომელიმე ტერმინი კონტექსტიდან გამომდინარე წესში სხვაგვარად არის განმარტებული.

2. სიმძლავრის აუქციონის გამოცხადება

2.1 სიმძლავრის აუქციონის გამოცხადების მიზანია ქვეყანაში არსებული სიმძლავრის დანაწილება აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებულ დაინტერესებულ პირებს შორის და ამ პირებისთვის სახელმწიფოს მხარდაჭერის სქემით სარგებლობის შესაძლებლობის შექმნა მეტი ენერჯეტიკული პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი ფინანსური ორგანიზაციების მიერ დაფინანსების შესაძლებლობების განხორციელების მიზნით.

2.2 სიმძლავრის აუქციონი ცხადდება სამინისტროს მიერ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.economy.ge ინფორმაციის განთავსების გზით ყოველი წლის განმავლობაში ერთხელ ან რამდენჯერმე, ქვეყანაში არსებული ენერგოპროექტების განვითარების გეგმისა და მოთხოვნის შესაბამისად, რის პერიოდულობას და მოცულობასაც, თავისი დისკრეციის ფარგლებში განსაზღვრავს სამინისტრო.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1. სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სიმძლავრის აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ენერჯეტიკის დარგში არსებულ ნებისმიერ ენერჯეტიკულ პროექტს, რომელიც იმყოფება

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე, ან დასრულებული აქვს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და არ გადასულა მშენებლობა/ლიცენზირების ეტაპზე. მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს პროექტი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი.

3.2. პროექტები, რომლებიც იმყოფებიან მშენებლობა/ლიცენზირების ან მშენებლობის ფაზაზე, ვერ მიიღებენ მონაწილეობას სიმძლავრის აუქციონში.

4. განაცხადის წარდგენის წესი

4.1. სიმძლავრის აუქციონში მონაწილეობის განაცხადი სიმძლავრის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

ა) დაინტერესებული პირი: /დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები/;

ბ) ადრესატი: /სს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სიმძლავრის აუქციონის კომისია/;

გ) წარწერა: სიმძლავრის აუქციონი.

4.2. განაცხადი ხელმოწერილ უნდა იქნეს ფიზიკური პირის შემთხვევაში დაინტერესებული პირის ან მისი მინდობილი პირის მიერ და იურიდიული პირის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ასეთი პირის მინდობილი პირის მიერ. მინდობილი პირის მიერ წარდგენილი განაცხადის შემთხვევაში, განაცხადს თან უნდა ახლდეს შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად დამოწმებული და, საჭიროების შემთხვევაში, ლეგალიზებული ან აპოსტილით დადასტურებული მინდობილობა.

4.3. განაცხადი უნდა წარედგინოს სამინისტროს აუქციონის გამოცხადების დოკუმენტაციაში მითითებულ დროსა და მისამართზე.

4.4. განაცხადის წარდგენით ითვლება, რომ დაინტერესებული პირი წარდგენილი განაცხადის სიმძლავრის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში აცხადებს უარს მასზე „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილების გავრცელებაზე.

4.5. განაცხადებს იღებს და მათ რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს სიმძლავრის აუქციონის კომისია.

4.6. სიმძლავრის აუქციონი გრძელდება გამოცხადების დღიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. დაინტერესებული პირი სიმძლავრის აუქციონის კომისიას განაცხადს წარუდგენს აუქციონის გამოცხადების მე-40 დღიდან 45-ე დღის ჩათვლით, ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის

წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ბოლო დღე დაემთხვევა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, განაცხადის მიღება მოხდება აღნიშნული უქმე დღის მომდევნო სამუშაო დღეს.

4.7. დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - დაინტერესებული პირის სახელს და გვარს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლს, ტელეფონის ნომერს, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში - დაინტერესებული პირის დასახელებას, ამონაწერს სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება შესაბამისი იურიდიული პირის არსებობა, მისი სარეგისტრაციო მონაცემები, ინფორმაცია პარტნიორობის/დამფუძნებლების და დირექტორების შესახებ და რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დადასტურებული უნდა იყოს აპოსტილით ან უნდა იყოს ლეგალიზებული, იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს;

გ) პოტენციური ელექტროსადგურის პროექტის შესახებ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას (მინიმუმ ფონდურ მასალებზე დაყრდნობით და შესაბამისი ლიტერატურა/მასალის მითითებით);

დ) შემოთავაზებულ ტარიფს;

ე) პროექტის განხორციელების სავარაუდო გეგმა-გრაფიკს, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს დადგენილების მიხედვით განსაზღვრული ვადებს;

ვ) განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას - ყოველი 1 მეგავატი დადგმული სიმძლავრისთვის 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

ზ) იმ პროექტებთან მიმართებაში, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებს, დაინტერესებული პირები ვალდებული არიან წარმოადგინონ განაცხადი პროექტის საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად განხილვის და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელების ეტაპის დადგენის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ ამ პროექტების შესაბამისი განაცხადები გაიმარჯვებენ აუქციონში.

თ) აუქციონის გამოცხადების შესახებ დოკუმენტაციით მოთხოვნილ სხვა დოკუმენტაციას.

4.8. დაინტერესებული პირის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) ობიექტის განთავსების ადგილმდებარეობასა და ძირითად პარამეტრებს;

ბ) პოტენციური მშენებარე ობიექტის ტერიტორიის ტოპოგრაფიულ რუკას (მასშტაბი –

1:25000);

გ) ობიექტის განთავსების ტერიტორიის მოკლე გეოლოგიურ მონაცემებს, გეოლოგიურ რუკას;

დ) ობიექტის განთავსების ტერიტორიის სეისმურ მონაცემებს, სეისმურ რუკას (ფონდურ მასალებზე დაყრდნობით);

ე) ჰიდროლოგიურ/მეტროლოგიურ მონაცემებს (საშუალო თვიურ მაჩვენებლებს) (ქარის ელექტროსადგურის შემთხვევაში – ქარის დაკვირვების მონაცემებს, ხოლო მზის ელექტროსადგურის შემთხვევაში – მზის დაკვირვების მონაცემებს) (ფონდურ მასალებზე დაყრდნობით);

ვ) ენერგეტიკულ მოდელს (სავარაუდო გამომუშავების შესახებ);

ზ) პირველად მონაცემებს გარემოზე ზემოქმედების შესახებ;

თ) ქსელზე მიერთების სავარაუდო სქემასა და ქსელის შესაძლებლობას, მიიღოს გამომუშავებული ელექტროენერგია;

ი) ინფორმაციას ინფრასტრუქტურის თაობაზე (არსებული და მშენებარე გზები დატანილი უნდა იყოს ტოპო-რუკებზე სავარაუდო მანძილების მითითებით);

კ) სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას;

ლ) ეკონომიკურ ანგარიშს (პროექტის ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის მოცულობას, ხანგრძლივობას, საკრედიტო განაკვეთს).

მ) ფინანსური მოდელს, როგორც ბექედურ ასევე ელექტრონული ფორმით.

4.9. ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე მატერიალური ფორმით, ასევე ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ვერსია განთავსებულ უნდა იქნეს CD დისკზე ან ფლემ მემსიერების ბარათზე).

4.10. სიმძლავრის აუქციონის კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს დაინტერესებულ

პირს აგრეთვე სხვა დაზუსტებისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

4.11. დაინტერესებული პირის განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში დასაშვებია განაცხადი დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს აუქციონის გამოცხადებისას მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია სიმძლავრის აუქციონის კომისიის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადაში

ვადა (არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა), წინააღმდეგ შემთხვევაში არ ექვემდებარება განხილვას და განაცხადს აღარ მიეცემა შემდგომი მსვლელობა.

4.12. სიმძლავრის აუქციონის განაცხადებს არ მიეცემა მსვლელობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) სიმძლავრის აუქციონის კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა ვერ შეძლო ან არ მოახდინა აუქციონის განაცხადით წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტება, შევსება, წარდგენა ან დადასტურება;

ბ) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა;

5. დაგვიანებით შემოსული განაცხადები

5.1. განაცხადი, რომელსაც დაინტერესებული პირი წარადგენს ამ წესით განაცხადის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, დაუბრუნდება დაინტერესებულ პირს განუხილველად.

5.2. დაგვიანებით შემოსული განაცხადის შემოსვლის თარიღსა და დროს სიმძლავრის აუქციონის კომისია ასახავს შემოსული სიმძლავრის აუქციონის განაცხადების სარეგისტრაციო დოკუმენტში.

6. სიმძლავრის აუქციონის კომისია

6.1. სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სიმძლავრის აუქციონში საუკეთესო განაცხად(ებ)ის შერჩევას და სამინისტროსთვის წარდგენას უზრუნველყოფს სიმძლავრის აუქციონის კომისია.

6.2. სიმძლავრის აუქციონის კომისიის შემადგენლობაშია:

ა) სამინისტრო 2 კანდიდატით;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

გ) სსიპ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო“;

დ) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

6.3. განაცხადების შეფასების დროს შესაძლებელია ასევე სიმძლავრის აუქციონის კომისიის წევრად მოწვეულ იქნეს სპეციფიკური ცოდნის ექსპერტ(ებ)ი/სპეციალისტ(ებ)ი, სიმძლავრის აუქციონის კომისიაში ხმის უფლების გარეშე.

6.4. სიმძლავრის აუქციონის კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც არის სამინისტროს მიერ ნომინირებული წარმომადგენელი.

6.5. სიმძლავრის აუქციონის კომისია საუკეთესო განაცხად(ებ)ს შერჩევს დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ სიმძლავრის აუქციონის ნებისმიერ საკითხზე სიმძლავრის აუქციონის კომისიის წევრთა ხმები თანაბრად განაწილდება, გადაწყვეტად ჩაითვლება თავმჯდომარის ხმა.

7. განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

7.1. სიმძლავრის აუქციონის კომისია საუკეთესო განაცხად(ებ)ს შეარჩევს დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად.

7.2. სიმძლავრის აუქციონის კომისია წარდგენილ განაცხადებს განიხილავს მედიანური ტარიფის პრინციპის შესაბამისად, კერძოდ, სიმძლავრის აუქციონის კომისია მედიანურ ტარიფად განსაზღვრავს შემოთავაზებული ტარიფების წყებიდან შუა შემოთავაზებულ ტარიფს (შემოთავაზებული ლუწი რაოდენობის ტარიფების შემთხვევაში, შუა ორი შემოთავაზებული ტარიფის საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს) და სიმძლავრის დანაწილება მოხდება იმ დაინტერესებულ პირებზე, ვისი შემოთავაზებული ტარიფიც იქნება მედიანურ ტარიფზე დაბალი. სიმძლავრის დანაწილება დაიწყება ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ტარიფიდან ზრდადობის პრინციპით. იმ შემთხვევაში, თუ სიმძლავრის დანაწილება მოხდა ყველა იმ დაინტერესებულ პირზე, ვისაც შემოთავაზებული ჰქონდა მედიანური ტარიფი ან მასზე დაბალი ტარიფი, სიმძლავრის აუქციონის კომისიის გადაწყვეტილებით, დარჩენილი სიმძლავრის შეთავაზება მოხდება იმ დაინტერესებულ პირებზე, ვისაც შემოთავაზებული ჰქონდათ მედიანურ ტარიფზე მაღალი ტარიფი. სიმძლავრის განაწილება მოხდება შემოთავაზებული ტარიფის შესაბამისად ზრდადობით, მანამ, სანამ არ ამოიწურება არსებული სიმძლავრე. მედიანურ ტარიფზე მაღალი შემოთავაზების მქონე დაინტერესებული პირები მხარდაჭერის სქემაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მედიანური ტარიფის შესაბამისად.

7.3. სიმძლავრის აუქციონის დასრულებისა და წარდგენილი განაცხადების განხილვის შემდგომ, სიმძლავრის აუქციონის კომისია შეარჩევს დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილ საუკეთესო განაცხად(ებ)ს და აფორმებს შესაბამის წინადადებას, რომელიც წარედგინება სამინისტროს.

7.4. სამინისტრო, გამარჯვებულის გამოვლენიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში მას თანდართულ დოკუმენტაციასთან და თავის რეკომენდაციასთან ერთად წარუდგენს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7.5. მთავრობა წარმოდგენილი წინადადებისა და სამინისტროს რეკომენდაციის შესაბამისად იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რის შემდეგაც იმ დაინტერესებულ პირ(ებ)თან, რომლებიც მითითებულია მთავრობის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში გაფორმდება დადგენილებით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულება.

7.6. ის დაინტერესებული პირები, ვინც მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე გააფორმებენ ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულებას, ვალდებული იქნებიან ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ესკოსთან გააფორმონ ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება, რისი პროექტიც განსაზღვრულია წინამდებარე წესის დანართი N1-ით.

7.7. სამინისტრო უფლებამოსილია დაუყოვნებლივ სრულად გამოითხოვოს იმ დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ვინც მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად მიჩნეული იქნებინ უფლებამოსილად ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულების გასაფორმებლად, თუმცა არ გააფორმებენ ამ ხელშეკრულებას დადგენილ ვადაში. სხვა ყველა დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება მათ მიერ წარდგენილი განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები სრულად 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, მათ შორის იმ პირებს, ვისი შეთავაზებული ტარიფიც იქნება მედიანურ ტარიფზე მაღალი და სიმძლავრის აუქციონის კომისიის მიერ შეთავაზების შემთხვევაში უარს იტყვიან სიმძლავრის ათვისებაზე და მედიანური ტარიფით მხარდაჭერის სქემაში მონაწილეობაზე.

8. აუქციონზე წარდგენილ განაცხადსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას შორის სხვაობა

8.1. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის ნეგატიური სხვაობა არის 10%-ზე მეტი, მაგრამ 15%-ზე ნაკლები, დაინტერესებულ პირს, მშენებლობის ფაზის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შემოთავაზებული ტარიფი შეუმცირდება 10%-ით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის ნეგატიური სხვაობა არის 15%-ზე მეტი, მაგრამ 30%-ზე ნაკლები, დაინტერესებულ პირს, ელექტროსადგურის პროექტის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შემოთავაზებული ტარიფი შეუმცირდება 30%-ით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის ნეგატიური სხვაობა არის 30%-ზე მეტი, დაინტერესებულ პირს, შეთანხმებული ტარიფი შეუმცირდება 100%-ით.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის პოზიტიური სხვაობა არის 10%-ზე მეტი, მაგრამ 15%-ზე ნაკლები, დაინტერესებულ პირს, მშენებლობის ფაზის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შემოთავაზებული ტარიფი პოზიტიურ სხვაობაზე შეუმცირდება 10%-ით.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ

გამომუშავებას შორის პოზიტიური სხვაობა არის 15%-ზე მეტი, მაგრამ 30%-ზე ნაკლები, დაინტერესებულ პირს, ელექტროსადგურის პროექტის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შემოთავაზებული ტარიფი პოზიტიურ სხვაობაზე შეუმცირდება 30%-ით.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის პოზიტიური სხვაობა არის 30%-ზე მეტი, დაინტერესებულ პირს შეთანხმებული ტარიფი შეუმცირდება პოზიტიურ სხვაობაზე 100%-ით.“.

9. სიმძლავრის განმეორებითი აუქციონი

9.1. ერთსა და იმავე საპროექტო არეალში ორი ან მეტი ალტერნატიული განაცხადის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადს, რომლით შემოთავაზებული ტარიფიც იქნება უფრო დაბალი. თუკი ასეთ შემთხვევაში ტარიფები იდენტურია, უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადს, რომლის ენერგეტიკული მოდელით შემოთავაზებული სავარაუდო გამომუშავება იქნება უფრო მაღალი. თუკი ერთსა და იმავე საპროექტო არეალში ორი ან მეტი ალტერნატიული განაცხადის არსებობისას შემოთავაზებული ტარიფები და ენერგეტიკული მოდელით შემოთავაზებული სავარაუდო გამომუშავებები იდენტურია, სამინისტრო ჩანიშნავს განმეორებით აუქციონს, „სიმძლავრის აუქციონის წესების“ შესაბამისად. განმეორებით სიმძლავრის აუქციონში უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადს, რომლით შემოთავაზებული ტარიფიც იქნება უფრო დაბალი.

9.2. განმეორებითი აუქციონი გაიმართება პირველი აუქციონის დასრულებიდან ან მისი შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში და დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინონ განმეორებითი წინადადება.

9.3. აუქციონი განმეორდება მანამ, სანამ არ გამოვლინდება საუკეთესო შემოთავაზებული ტარიფი, ან სანამ სიმძლავრის აუქციონის კომისია თავისი ინიციატივით არ შეწყვეტს განაცხადების განხილვას.

10. სპეციალური დებულებები

10.1. სიმძლავრის აუქციონში ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობას იღებს მსაკუთარი სახსრებით.

10.2. აუქციონში გამარჯვებულ პირს, რომელთანაც გაფორმდება ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლია ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მმიღებიდან ყოველ მე-5 კალენდარული წლის ბოლოს და ამის თაობაზე დაინტერესებულმა

მპირმა წერილობით უნდა მიმართოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის გამოცხადების დღიდან დაინტერესებულ პირთან აუქციონში გამარჯვებულად გამოვლენამდე, სამინისტროს მიმართავს სხვა დაინტერესებული პირი იმავე საპროექტო არეალში, „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილების საფუძველზე პროექტის განხორციელების ინიცირების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ აუქციონზე წარდგენილი განაცხადის განხილვა იქნება შეჩერებული. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის N515 დადგენილებით ინიცირებული პროექტი არ იქნა მოწონებული საქართველოს მთავრობის მიერ, დაინტერესებული პირის მიერ აუქციონზე წარდგენილ წინადადებაზე განახლება განხილვა, ხოლო, საქართველოს მთავრობის N515 დადგენილებით ინიცირებული პროექტი უკან დაუბრუნდება ინიციატორს. იმ შემთხვევაში თუ გაფორმდება ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის N515 დადგენილებით ინიცირებულ წინადადებაზე, აუქციონში არსებულ განაცხადს არ მიეცემა მსვლელობა და 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დაუბრუნდება მის მიერ წარდგენილი განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი დოკუმენტაციასთან ერთად.

10.4. დაინტერესებული პირის მიერ სიმძლავრის აუქციონში მხარდაჭერის სქემის მოთხოვნის მიზნით წარსადგენი თითოეული პროექტის ჯამური სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს განახლებადი ენერჯის ცალკეული წყაროსთვის სიმძლავრის აუქციონით გამოცხადებული მეგავატების 70% პროცენტს.

10.5. დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს სიმძლავრის აუქციონში მონაწილეობის მიღებას, მის ხელთ არსებული წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევით გათვალისწინებული პროექტის სრული დადგმული სიმძლავრით, ხოლო უფლებამოსილია საინიციატივო შეთავაზება მხარდაჭერის სქემის მოთხოვნის მიზნით წარადგინოს არა სრულ, არამედ ნაწილობრივ დადგმულ სიმძლავრეზე.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ განახლებადი ენერჯის სხვადასხვა წყაროებისთვის ამ წესით გათვალისწინებული გამოცხადებული ინდივიდუალური სიმძლავრე არ იქნა სრულად ათვისებული აუქციონში გამარჯვებული პირების მიერ, სიმძლავრის აუქციონის კომისია უფლებამოსილია უზრუნველყოს სხვა ენერჯის რომელიმე წყაროდან დარჩენილი აუთვისებელი მეგავატების სრულად ათვისება, სხვა ენერჯის წყაროს მეგავატებში გათვალისწინება და მისი შეესება გამარჯვებული პირის გამოვლენის მიზნით.

10.7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა #2, იუსტიციის სახლი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.